<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის ახმეთ მელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ახმეთ მელაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:2,000
X=491078 Y=4617539
I ჩიხი
ახმეთ მელაშვილის ქ.
X=491070 Y=4617384
X=491519 Y=4617319

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

მიხეილ ამაშუკელს

შპს „დაბი“-ს ს/კ 401946392

წარმომადგენელის ანა დოლიძის პ/ნ 33001074806

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს დაბი“ (ს/კ 401946392)-ს უძრავი ქონება მდებარეობს ორ საკადასტრო კოდზე (81.08.28.162; 81.08.28.103); ჩვენს კომპანიამდე მისასვლელი გზა არ არის დამისამართებული, ამიტომ მოგმართავთ რომ მოხდეს აღნიშნული გზის დამისამართება.

კომპანიის წარმომადგენელი: ანა დოლიძე ა. დოლიძე

ტელეფონის ნომერი: 595990096

ელექტრონული ფოსტა: anidolidze756@gmail.com

თარიღი 27.04.2021წ.

შ.პ.ს. „დაბი“ 401 946 392
მისამართი: საქართველო
თბილისი, ისანის რაიონი,
დიდი ლილო, ვარკეთილის
მეურნეობა
ტელ: +995 (32) 272 67 57
E-mail: ltddabi@gmail.com
Skype: LTD Dabi.

L.T.D. "DABI" 401 946 392
Address: Georgia, Tbilisi
Isani district, Didi lilo,
Varketili farm

T: +995 (32) 272 67 57
E-mail: ltddabi@gmail.com
Skype: LTD Dabi.

ქ. თბილისი

27.04.2021

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს“დაბი“-ს (ს/კ 401946392) დირექტორი, დავით ბიწაძე (პ.ნ 38001002657), უფლებამოსილებას ვანიჭებ ჩემს თანამშრომელს, ანა დოლიძეს (პ/ნ 33001074806) მასზედ რომ , ჩემი სახელით, განახორციელოს კომპანიასთან დაკავშირებული ყველა საჭირო პროცედურა და აღნიშნულთან დაკავშირებით ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს.

მინდობილობა ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დირექტორი: /დ. ბიწაძე

DABI
GEORGIA. "DABI" LTD
401946392

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

NATIONAL PARLIAMENTARY
LIBRARY OF GEORGIA

საქართველო, თბილისი 0114, ლადო გუდიაშვილის ქ. №7
ტელეფონი: (+995 32) 297 16 61 ფაქსი (+995 32) 297 16 15

7 Lado Gudiashvili street, Tbilisi, 0114, Georgia
Tel.: (+995 32) 297 16 61 Fax: (+995 32) 297 16 15
www.nplg.gov.ge

01/43

22.03.2021

ქალაქ თბილისის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ისტორიის მანძილზე სხვადასხვა პერიოდში თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ღვაწლი ფასდაუდებელია თურქეთელ ქართველთა ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. მათ შორის აღსანიშნავია გამორჩეული ეროვნული მოღვაწე ახმეთ ოზკანი, რომლის ქართული გვარია მელაშვილი. იგი ცხოვრობდა თურქეთის რესპუბლიკაში 1922-1980 წლებში, მისი მეშვეობით დაიწყო თურქეთის ქართველთა ეთნიკურ-კულტურული საგანმანათლებლო მოძრაობა.

ახმეთ მელაშვილი იყო პუბლიცისტი, მთარგმნელი, თვითნასწავლი ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი. 1968 წელს მან თურქულ ენაზე გამოსცა წიგნი „საქართველო", რომელშიც ასახულია საქართველოს რეალური ისტორია, ცნობები ქართული ლიტერატურის და კულტურის შესახებ. აგრეთვე, მოამზადა ჟურნალი „ჩვენებურები", რომელიც მის სიცოცხლეშივე გამოიცა. მან თავი მოუყარა თურქეთში ქართულ სოფლებში გაბნეულ ქართულ ფოლკლორს და შექმნა ჰაირეს ქართული ფოლკლორული ანსამბლი.

საქართველოში ახმეთ მელაშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ოთარ გიგინეიშვილთან, ფრიდონ ხალვაშთან, ლია ჩლაიძესთან, ოთარ და თამაზ ჭილაძეებთან და მათი დახმარებით ჩამოდიოდა სამშობლოში და სწავლობდა ქართულ კულტურას, რომელსაც შემდგომ თურქეთელ ქართველებს აცნობდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, ახმეთ მელაშვილის სახელი ეწოდოს თბილისის რომელიმე ქუჩას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის თავდადებული მოღვაწის უკვდავსაყოფად და მისი ღვაწლის პატივსაცემად.

პატივისცემით,

გიორგი კეკელიძე

გენერალური დირექტორი

GÜRCÜ SANAT EVİ
ქართული ხელოვნების სახლი

ქალაქ თბილისის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლისა და თურქეთის ქართველი საზოგადოებრიობის

თხოვნა

მოგეხსენებათ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თურქეთის ქართველთა შემდგომი განვითარებისათვის, მათი ქართული ეთნიკური თვითმყოფადობის გაძლიერებისათვის საქართველოსგან გამოვლენილ მხარდაჭერასა და ყურადღებას.

თურქეთის ქართველთა შორის გამორჩეული ეროვნული მოღვაწე გახლდათ ახმეთ ოზკანი, ისტორიული ქართული გვარით – მელაშვილი. ის ცხოვრობდა 1922-1980 წლებში თურქეთის რესპუბლიკაში. მისი ღვაწლის შედეგია თურქეთის ქართველთა ეთნიკურ-კულტურული საგანმანათლებლო მოძრაობის დაწყება.

ახმეთ მელაშვილი პროფესიით იყო არქიტექტორი, ცხოვრობდა და მუშაობდა ქალაქ ბურსაში. ამავე დროს, მთელ თავის ენერგიასა და ძალას ახმარდა ქართველთა შორის ქართული იდენტობის განვითარების საქმეს.

ახმეთ მელაშვილი გახლდათ პუბლიცისტი, მთარგმნელი, თვითნასწავლი ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი. მან თანამებრძოლებთან ერთად 1968 წელს მოამზადა და გამოსცა წიგნი „საქართველო“ (თურქულ ენაზე), რომლითაც თურქეთის საზოგადოებას წარუდგინა საქართველოს რეალური ისტორია, მიაწოდა ცნობები ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის შესახებ. დაუახლოვდა ქართულ ევროპულ ემიგრაციას და მათთან თანამშრომლობით მოამზადა ჟურნალი „ჩვენებური“ (1977 წელი), რომლის რამდენიმე ნომერიც გამოვიდა ახმეთის სიცოცხლეში.

ახმეთ მელაშვილმა თავი მოუყარა თურქეთის მარმარილოს ზღვის რეგიონების ქართულ სოფლებში გაბნეულ ქართულ ფოლკლორს, მათ შორის ეთნომუსიკალურ მემკვიდრეობას, შექმნა სოფელ ჰაირეს ქართული ფოლკლორული ანსამბლი.

თურქეთელი ქართველები გააცნო მსოფლიოს – ის მეგობრობდა ამერიკელ ეთნომუსიკოლოგ პიტერ გოლდთან და ანთროპოლოგ პოლ მაგნარელასთან, რომელთაც

ახმეთის უშუალო დახმარებით მოამზადეს მუსიკალური ფონდი და მონოგრაფია ბურსის რეგიონის ეთნიკურ ქართველთა შესახებ.

ახმეთ მელაშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სამშობლოსთან ბატონი ოთარ გიგინეიშვილის, ფრიდონ ხალვაშის, პროფესორ ლია ჩლაიძის, ოთარ და თამაზ ჭილაძეების და სხვა მოღვაწეთა დახმარებით ის ჩამოდიოდა სამშობლოში და ახლოს ეცნობოდა ქართულ კულტურას, რათა ეს ცოდნა მოეწოდებინა ჩვენთვის – თურქეთელი ქართველებისათვის.

ახმეთ მელაშვილი მოკლეს 1980 წლის ხუთ ივლისს, მაგრამ მისის ახელი და მისი საქმე უკვდავია.

გთხოვთ, რომ ამ დიდი ქართველის სახელი ეწოდოს მისი სამშობლოს გულის - დედაქალაქ თბილისის რომელიმე ქუჩას. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ასახიარულო ფაქტია, რომ ასეთი ქუჩა არსებობს ბათუმში, ხოლო თბილისში 31-ე საჯარო სკოლას ჰქვია მისი სახელი.

ვფიქრობთ, რომ ამგვარი პატივისმიგება სამომავლო დადებით შედეგსაც გამოიტანს.

პატვისცემით, სატამბოლის ქართული ხელოვნების სახლის დამფუძნებელი:
შემსეთ ...ენ იიემ (გიორგი ირემაძე)

დირექტორი: ობერია ოზკანი (მელაშვილი).

17.03.2021.

GÜRCÜ SANAT EVİ

Cafer Ağa Mh. Moda Cd. Ağabey Sk. No: 12 / A Kadıköy – İSTANBUL
Tel: +90 216 5509467 (İstanbul) / +995 32 2470501 (Tbilisi)
E-mail: giosems@yahoo.com

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032114774**
თარიღი: **27/05/2021**
პინი: **4835**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე ანა დოლიძის 2021 წლის 27 აპრილის საქმე #10/032111715-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას (ს.კ.81.08.28.162; 81.08.28.103).
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოაღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0121149134**
თარიღი: **29/05/2021**
პინი: **2368**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 27.05.2021 წლის #03-032114774 (27.05.2021წ. #19-01211473022-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ ნილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ახმეთ მელაშვილი(ოზკანი)

(1922-1980)

ქართველი კულტურული მოღვაწე თურქეთში, რომლის მოღვაწეობა მიმართული იყო თურქეთის ქართველობაში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისაკენ. მისი მეშვეობით დაიწყო თურქეთის ქართველთა ეთნიკურ-კულტურული და საგანმანათლებლო მოძრაობა. მას „თურქეთის ქართველების ილია ჭავჭავაძესაც“ უწოდებდნენ.

დაიბადა სოფელ ბალიქესირში, ქართველ მაჰმადიან ემიგრანტთა (მუჰაჯირთა) ოჯახში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ მან დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის არქიტექტურული ფაკულტეტი 1962 წელს და დასახლდა თურქეთის პატარა ქართულ სოფელ ჰაირიეში, სადაც დაქორწინდა და ტურისტული საზოგადოება დააფუძნა. შემდეგ არქიტექტორადაც მუშაობდა. მისი მთავარი საქმიანობა კი მაინც ადგილობრივ ქართულ თემებში - „ჩვენებურებში“ — ქართული იდეის პოპულარიზაცია იყო. ის იყო პუბლიციტი, მთარგმნელი, თვითნასწავლი ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი. ახმეთ მელაშვილმა თავი მოუყარა თურქეთში ქართულ სოფლებში გაბნეულ ფოლკლორს, მათ შორის ეთნომუსიკალურ მემკვიდრეობას და შექმნა ჰაირეს ქართული ფოლკლორული ანსამბლი.

აჰმედ მელაშვილმა თურქეთელი ქართველები გააცნო მსოფლიოს. აჰმედი მეგობრობდა ამერიკელ ეთნომუსიკოლოგ პიტერ გოლდთან და ანთროპოლოგ პოლ მაგნარელასთან, რომელთაც ახმეთის უშუალო დახმარებით მოამზადეს მუსიკალური ფონდი და მონოგრაფია ბურსის რეგიონის ეთნიკურ ქართველთა შესახებ.

მის წიგნს საქართველოზე „გურჯისტანი“ (1968) დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თურქეთის მთავრობამ წიგნი აკრძალა. საქმე სასამართლომდე მივიდა, მაგრამ აჰმედი გაამართლეს. ამის შემდეგ, 1970-იან წლებში, მან ორჯერ იმოგზაურა საქართველოში. თურქეთში დაბრუნების შემდეგ თარგმნიდა და აქვეყნებდა ქართველ კლასიკოს მწერლებს, სტატიებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. მის მიერ 1972 წელს დაარსებული ჟურნალი „ჩვენებური“ დღემდე რჩება თურქეთის ქართული დიასპორის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ

პერიოდულ გამოცემად. მას ზოგჯერ „თურქეთის ქართველების ილია ჭავჭავაძესაც“ უწოდებდნენ.

1980 წლის 5 ივლისს ქალაქ ბურსაში, აჰმედ მელაშვილი თურქული ულტრანაციონალისტური დაჯგუფების „რუხი მგლების“ აქტივისტებმა მოკლეს. მის საქმიანობას სათავეში მისი ვაჟი, იბერია ჩაუდგა. მისი მეგობარი და თანამოაზრე იყო ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ მალაყმაძე.

აჰმეთ მელაშვილი სოფელ ჰაირიეში განისვენებს. მის საფლავს ამშვენებს წარწერა თურქულად და ქართულად: „მე ვიცხოვრე ჩემი ხალხისთვის და არა უკვდავებისთვის”.